

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2016 წლის ანგარიში



## **სარჩევი**

<i>საქმიანობის სფერო</i>	<i>3</i>
<i>საერთაშორისო და ადგილობრივ უწყებებთან თანამშრომლობა</i>	<i>5</i>
<i>საკანონმდებლო საქმიანობა</i>	<i>10</i>
<i>მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება</i>	<i>14</i>
<i>საზღვაო უსაფრთხოება</i>	<i>17</i>
<i>ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპ.</i>	<i>23</i>
<i>გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი</i>	<i>28</i>
<i>ადმინისტრაციული უზრუნველყოფა</i>	<i>36</i>
<i>ხარისხის უზრუნველყოფა - ISO 9001:2008</i>	<i>38</i>
<i>სააგენტოს რებრენდინგი</i>	<i>39</i>

**სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო** - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს საზღვაო უსაფრთხოება და საზღვაო ტრანსპორტის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგება, ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, საზღვაო გადაზიდვა-გადაყვანების შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემის ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება, გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- ზღვაოსნობის უსაფრთხოების, გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შრომის დაცვის მიზნით ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და/ან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელობა, ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების განხორციელების, ავარიის შედეგად დაღვრილი ნავთობითა და მავნე ნივთიერებებით ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის მიზნით.
- საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით მოძრაობის დაყოფის სისტემების, საზღვაო დერეფნების, ფარვატერებისა და რეკომენდირებული გზების, ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავება, კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, უფლებამოსილების ფარგლებში;
- საქმიანობის მარეგულირებელი კანონშემოქმედითი საქმიანობის განხორციელება, რაც დაკავშირებულია კანონპროექტების მომზადებასთან, ნორმატიული აქტების მომზადებასთან, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან; კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში.

*წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საქმიანობის 2016 წლის შემაჯამებელ დოკუმენტს და შედგენილია სააგენტოს ანალიტიკური სამსახურის მიერ სტრუქტურული ერთეულებიდან მოწოდებული ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე.*

# საერთაშორისო და ადგილობრივ უწყებებთან თანამშრომლობა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს საზღვაო სფეროს ეროვნულ-ტექნიკურ მარეგულირებელ ორგანოს, რომლის უმთავრესი ამოცანაა, საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯის და ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან მაგ: საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან (IMO) - სააგენტოს თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან სხვადასხვა კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების სხდომებს. სააგენტო, საქართველოს სახელით აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

2016 წლის 22-25 მარტს, ქ.ბათუმში, სასტუმრო “DIVAN”- ში გაიმართა შეხვედრები საქართველო-უკრაინის ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერება და საზღვაო გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით. ღონისძიება დააფინანსა ევროკავშირის პროექტმა TRACECA II, შეხვედრებზე ხაზი გაესვა საქართველოს მიერ საზღვაო დარგში განხორციელებულ რეფორმებს, მათი გატარების სპეციფიურ ასპექტებს და რეფორმების შესაძლო შედეგებს.

2016 წლის 18-22 აპრილს, ქ. ლონდონში (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ზღვის გარემოს დაცვის კომიტეტის რიგით 69-ე სესია გაიმართა, რომელსაც საქართველოს სახელით ესწრებოდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ქ-ნ თამარ იოსელიანი. სწორედ ამ ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, ელჩმა ქ-ნ თამარ ბერუჩაშვილმა, საზღვაო სფეროს წარმომადგენლების წინაშე დაანონსა საერთაშორისო საზღვაო ფორუმი, რომელიც 2016 წლის 12-16 სექტემბერს გაიმართა ქ.ბათუმში, საქართველოს პრემიერ მინისტრის პატრონაჟით. ხოლო 2016 წლის 11 მაისს, საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის რიგით 96 სესიაზე, დამსწრე საზოგადოებას ქ-ნ თამარ იოსელიანმა და ქ-ნ თამარ ბერუჩაშვილმა გააცნეს დღის წესრიგი და სპიკერების სია. ორივე სესიის ფარგლებში მოხდა ყავის შესვენებით და ქართული ტკბილეულით გამასპინძლება.

2016 წლის 6-10 ივნისს, ქ. ათენში (საბერძნეთი), საქართველო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, მსოფლიოში უმსხვილეს საერთაშორისო საზღვაო გამოფენა-კონფერენცია POSIDONIA 2016-ზე მასშტაბური

ეროვნული პავილიონით წარსდგა. საქართველოს დელეგაცია აერთიანებდა საქართველოს საზღვაო სფეროს კერძო თუ საჯარო სექტორს. ღონისძიებაზე პოპულარიზაცია გაეწია საქართველოს საზღვაო დროშას, საქართველოში არსებულ საზღვაო სერვისებს და ხაზი გაესვა საქართველოს როგორც საზღვაო ქვეყნის პოტენციალს. გამოფენის ფარგლებში დამყარდა კონტაქტები და შემდგომი თანამშრომლობის მიზნით გაიმართა შეხვედრები გემთმფლობელებთან, აგენტებთან, საკრუინგო კომპანიებთან, საკლასიფიკაციო საზოგადოებებთან და სხვა.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) რეზოლუციის შესაბამისად, 2011 წლიდან **25 ივნისი** აღინიშნება, როგორც **მეზღვაურის დღე**. საქართველოც, მსგავსად მსოფლიოს სხვა საზღვაო ქვეყნებისა, 2012 წლიდან აღნიშნავს ამ დღეს. საანგარიშო პერიოდშიც, ტრადიციულად, ქ. ბათუმში გაიმართა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოში აკრედიტირებული საზღვაო სასწავლებლები და საზღვაო სფეროს სხვა წარმომადგენლები. ეს კიდევ ერთი საშუალებაა, მეზღვაურებისადმი პატივისცემის გამოხატვისა და მეზღვაურის, როგორც პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობისათვის.

2016 წლის 26-29 ივნისს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის სანაპირო დაცვის დელეგაცია. **შეხვედრის მიზანი იყო ნავსადგურებისა და გემების უშიშროების საერთაშორისო კოდექსის იმპლემენტაციის შეფასება საქართველოს ნავსადგურებში.** ნავსადგურების შემოწმებების შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოს ნავსადგურებში სანავსადგურე ოპერაციები შეესაბამება საზღვაო უშიშროების სტანდარტის მოთხოვნებს.

2016 წლის 04 ივლისს, ქ. ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონ“-ის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა რიგით მე-5 მრგვალი მაგიდის შეხვედრა, რომელიც **ThinkTank-ის ფორმატით წარიმართა** და მას საზღვაო დარგის ექსპერტები / საზღვაო სფეროში გამოცდილების მქონე ადამიანები ესწრებოდნენ. შეხვედრის მიზანი იყო საზღვაო სფეროში არსებული პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირება და მათი გაუმჯობესების მეთოდების დასახვა, დარგის განვითარებისათვის ახალი ინიციატივების გაზიარება.

2016 წლის 13 სექტემბერს, **ქალთა სანაოსნო და სავაჭრო ასოციაციის** პრეზენტაცია და საქართველოში ფილიალის დაფუძნების ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. ცერემონიაზე დასასწრებად საქართველოში ქალთა საერთაშორისო სანაოსნო და სავაჭრო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქ-ნ სანჯამ გუპტა ჩამოვიდა.

2016 წლის 12-16 სექტემბერს, ქ. ბათუმში, საქართველოს პრემიერ მინისტრის პატრონაჟით და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებით **საქართველოს**

პირველი საერთაშორისო საზღვაო ფორუმი (GIMF 2016) ჩატარდა. ფორუმს ესწრებოდა 40-ზე მეტი ქვეყნიდან 300-მდე სტუმარი, მათ შორის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალური მდივანი, მსოფლიოს წამყვანი საზღვაო სახელმწიფოების ტრანსპორტის მინისტრები და საზღვაო სფეროს ბიზნესის წარმომადგენლები. GIMF2016 საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ფორუმად აღიარა მსგავს ფორუმებს შორის. GIMF-ი ტრადიციით იქცა და ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

2016 წლის 13 სექტემბერს GIMF2016 ფარგლებში ქ.ბათუმში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და მალტის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ“ და „უკრაინის მინისტრთა კაბინეტსა და საქართველოს მთავრობას შორის უკრაინისა და საქართველოს ნავსადგურების გავლით პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის ორგანიზების შესახებ“ შეთანხმებას.

2016 წლის 11-14 სექტემბერს, საქართველოს საზღვაო ფორუმის ფარგლებში, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მხარდაჭერით ჩატარდა რეგატა (იალქიანი ნავების შეჯიბრება). რეგატაში მონაწილეობდა 8 იახტა - ბათუმის, ფოთისა და თბილისის წარმომადგენლები. აღნიშნულ შეჯიბრში გაიმარჯვა იახტა “BORJOMI”-ს აფროსანმა გიორგი დავითაშვილმა.

2016 წლის 15 დეკემბერს, ბათუმის საზღვაო აკადემიაში გაიმართა დამსაქმებელთა ფორუმი „პარტნიორობა უკეთესი დასაქმებისათვის“ რომლის მიზანს წარმოადგენდა კვალიფიცირებული, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისა და უკვე არსებული კადრების გადამზადების პროცესში მარეგულირებელთა, დამსაქმებელთა და სოციალურ პარტნიორობა მონაწილეობის გაფართოება. შეხვედრაზე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა, კაპიტანმა მამუკა ახალაძემ ისაუბრა საზღვაო სფეროში გატარებულ რეფორმებზე და მიღწეულ შედეგებზე, ქართველი კადეტების დასაქმების მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, აქტიურათ ატარებს მეზღვაურის პროფესიის პოპულარიზაციისათვის სხვადასხვა კამპანიებს. 2016 წლის განმავლობაში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლები პერიოდულად ატარებდნენ პრეზენტაციებს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სკოლებში საქართველოს მასშტაბით.

2016 წლის განმავლობაში მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შესახებ ურთიერთაღიარების მემორანდუმები გაფორმდა შემდეგ ქვეყნებთან:

- ❖ ირანის ისლამური რესპუბლიკა;
- ❖ გიბრალტარი;
- ❖ იტალიის რესპუბლიკა;
- ❖ პოლონეთის რესპუბლიკა.  
საფრანგეთის რესპუბლიკა.

2016 წლის 25 ნოემბერს სააგენტოს ეწვია ევროპის უსაფრთხოების სააგენტოს ფაქტების დამდგენი მისიით EMSA-ს 2 წარმომადგენელი. ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა TRACECA საზღვაო უსაფრთხოება და უშიშროება II-ის ფარგლებში საქართველოს მიერ მიღწეული შედეგების შეფასება, და TRACECA-ს შემდგომი პროექტისთვის პლატფორმის შემუშავება.

2016 წლის განმავლობაში სააგენტოს მიმართა 54-მა მეზღვაურმა დახმარების შუამდგომლობით, (შუამდგომლობის ძირითადი მოთხოვნები; რეპატრაცია, სახელფასო დავალიანების და დაზღვევის ხარჯების ანაზღაურება) ზემოაღნიშნულიდან 36 მეზღვაურის საკითხი გადაწყდა დადებითად;

IMO-ს საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის (MSC) 97-ე სხდომაზე 21-25 ნოემბერი 2016) წარდგენილ და განხილულ იქნა საქართველო-უკრაინის ერთობლივი რეზოლუცია 'Measures to Enhance Maritime Security / Safety and security of navigation in the North-Eastern part of the Black Sea'. MSC 97-მა რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებით მიიღო ალტერნატიული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საზღვაო უსაფრთხოების მონიტორინგის მიზნით, ორგანიზაციის წევრ ქვეყნების მიერ მიწოდებულ ინფორმაცია ორგანიზაციის სამდივნოს გაავრცელებს ცირკულარული დოკუმენტით).

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინეგრაციის საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში 2016 წლის ნოემბერში გაიგზავნია MARPOL Annex VI პროექტი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელთან შეთანხმების მიზნით. პროექტის ფარგლებში უკვე გამოყოფილია ევროკომისიის მიერ 200.000 ევრო. პროექტის მიზანს წარმოადგენს გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დანართი VI-ის დანერგვა ეროვნულ



კანონმდებლობაში და პროექტის ფარგლებში ექსპერტების ვიზიტი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში რეკომენდაციების და გამოცდილების მიღების მიზნით გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დანართი VI-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

## საკანონმდებლო საქმიანობა

- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 23 იანვრის N002 ბრძანება „მეზღვაურთა სერტიფიკატების ფორმების, მათი გაცემისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის N1-1/592 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანება სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების ცვლილების შეტანის თაობაზე ;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N57 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2016 წლის 30 მარტის N05 ბრძანება „საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების წესის“ დამტკიცების შესახებ.
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2012 წლის 17 სექტემბრის N020 ბრძანება „გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის

აღრიცხვის წესების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების ცვლილების შეტანის თაობაზე;

- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 21 მაისის N05 ბრძანება „ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის შესახებ“ ბრძანების ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მაისის N219 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი „სალოცმანო სამსახურის საქმიანობის და ლოცმანის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 დეკემბრის №327 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N06 „ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N06, 2013 წლის 21 მაისის №05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N07 „საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და შიგა წყლებში ჩაძირული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯართისა და ფერადი ლითონის ამოღების ლიცენზიის ფორმისა და მისი აღწერილობის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2016 წლის 22 ივლისის ბრძანება N08, „ნავსადგურის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს №019 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 13 სექტემბრის N09

„საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის გემის რეგისტრაციის აგენტის აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანება ცვლილების შეტანის თაობაზე;

- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 დეკემბრის N561 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 09 დეკემბრის N326 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 28 დეკემბრის N14 ბრძანება „საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 30 მარტის N05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ❖ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 22 დეკემბრის N13 ბრძანება „არაკონვენციური მცურავი საშუალების რადიოაღჭურვილობისა და გემებზე სამაშველო აღჭურვილობების მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 17 მარტის N01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- ❖ ინიცირებულ იქნა „სარეგისტრაციო მოსაკრებლებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის კანონპროექტი.
- ❖ ინიცირებულ იქნა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის კანონპროექტი.

### დაინერგა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული:

- ❖ ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე“ 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/16/EC დირექტივა (Directive 2009/16/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on Port State Control);
- ❖ 2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/25/EC დირექტივა „სამგზავრო გემების სტაბილურობის სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ“;
- ❖ 2002 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/59/EC დირექტივა, რომლითაც შეიქმნა გაერთიანების ფარგლებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და ინფორმაციული სისტემა.

### შემდგომი რატიფიცირების მიზნით გადაითარგმნა შემდეგი კონვენციები:

- ❖ „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია. მომზადდა აღნიშნულ კონვენციაზე განმარტებითი ბარათი;
- ❖ “სატვირთო მარკის 1966 წლის საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებული 1988 წლის პროტოკოლი”. მომზადდა აღნიშნულ კონვენციაზე განმარტებითი ბარათი;
- ❖ „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ, 2001 წლის კონვენცია. მომზადდა აღნიშნულ კონვენციაზე განმარტებითი ბარათი;
- ❖ „საზღვაო შრომის კონვენცია, 2006“. ასევე, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის TRACECA საზღვაო უსაფრთხოება და უშიშროება II-ის ფარგლებში , 2015-2016 წელს შემუშავდა საზღვაო შრომის კონვენციიდან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტი „მეზღვაურთა დასაქმების შესახებ“ (ინგლისურ ენაზე). 2016 წლისათვის დასრულდა შემუშავებული კანონპროექტის თარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე. მომზადდა აღნიშნული კონვენციისა და კანონპროექტის განმარტებითი ბარათები და მიმდინარეობს შიდა უწყებრივი განხილვები.


## მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ორ სამმართველოს:


- ❖ მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების აღიარებას, შეიმუშავებს ამ დაწესებულებების შემოწმების გეგმას, უწევს მონიტორინგს საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდებს და უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების კონტროლს.
- ❖ მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველო უზრუნველყოფს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მომზადებას და გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისთვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება-ორგანიზებას და სხვა.

## მეზღვაურთა სერტიფიცირება

დიაგრამა N1-ზე წარმოდგენილია მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2016 წელს გაცემული მოწმობების რაოდენობა.




დიაგრამა N2 - 2015-2016 წლებში გაცემული მეზღვაურთა მოწმობების სტატისტიკა



2013 წლის იანვრიდან სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროგრამა, რომლის საშუალებითაც იბეჭდება მეზღვაურთა დოკუმენტაცია დამცავი ნიშნებით, რამაც ფაქტიურად აღმოფხვრა დოკუმენტების გაყალბების პრეცედენტები. სწორედ ამ წარმატებული რეფორმის შედეგია, რომ სისტემის დანერგვის შემდგომი პერიოდიდან დღემდე არცერთი გაყალბების პრეცედენტი არ დაფიქსირებულა, ხოლო ის მცირე რაოდენობა ყალბი სერტიფიკატებისა, რომლებიც აღმოჩენილ იქნა, მიემართება რეფორმამდელ პერიოდს და მათი იდენტიფიცირებისათვის სააგენტოში შექმნილია ეფექტური მექანიზმები.

დიაგრამა N3 - ყალბი დოკუმენტების სტატისტიკა 2009-2016წწ.



### საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებზე გაიცა 58 კურსის აღიარება. 2016 წლის განმავლობაში ზემოთხსენებულ სასწავლებლებში ჩატარდა 2641 სასწავლო კურსი (გარდა GMDSS, პერსონალის გადამზადებისა და მეთევზე-მეზღვაურის კურსებისა), და მსმენელების საერთო რაოდენობა შეადგენდა 22360.



## საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გემების შესვლა-გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ნავსადგურს.


გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში:

2016 წლის განმავლობაში საქართველოს ნავსადგურებში შემოვიდა 1975 გემი, დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:


ცხრილი NI

გემის ტიპი	რაოდენობა
Container	263
Tanker	564
Gen.Cargo	569
Ro-Ro	269
Passanger	32
Bulk Carrier	62
Livestock	14
Tug Boat	11
Research	2
Yacht	1
Gas carrier	2
Dredger	5
Fish carrier	164
Vehicle carrier	17
	<b>1975</b>

დიაგრამა N4-ზე ნაჩვენებია საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების რაოდენობა 2012-2016წწ.




დიაგრამა N5-ზე წარმოდგენილია საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2016 წელი)



## ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლი

2016 წლის განმავლობაში სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა შეამოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 476 გემი, შენიშვნები აღმოაჩნდა 218 გემს, ხოლო შენიშვნების რაოდენობა შეადგენს 1723. საანგარიშო პერიოდში მოხდა 14 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 7 გემის, ხოლო ფოთის ნავსადგურში - 7 გემის. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ დიაგრამა N°6.



საქართველოს ნავსადგურებში 2016 წლის განმავლობაში შემოსული ტვირთების სტატისტიკა:

ცხრილი N2

2016 ბათუმი	შემოსული გემების რაოდენობა	გროს ტონაჟი	ნავთობი	გენ. ტვირთი	კონტეინერი (TEU)	ნაყარი ტვირთი	მგზავრების რაოდენობა	უამინდობის გამო ნავსადგურის დახურვის დრო
იანვარი	106	620484	228672	11290	3508	37371	729	326:20:00
თებერვალი	94	654361	309625	24915	4097	40900	1220	35:50:00
მარტი	77	624270	225733	11727	4343	37929	1446	0:00:00
აპრილი	65	770686	351276	25295	2433	37703	1270	37:30:00
მაისი	50	586947	220600	23601	5200	37543	1605	0:00:00
ივნისი	61	784386	298029	19152	3176	72372	2909	0:00:00
ივლისი	67	757032	390699	18243	4411	66952	4483	20:00:00
აგვისტო	76	807541	267969	16928	5049	94605	4387	36:25:00
სექტემბერი	58	759839	321161	3162	4409	43846	2100	73:35:00
ოქტომბერი	59	751295	354028	28247	5011	33979	1950	64:10:00
ნოემბერი	54	685811	288420	15098	5091	2701	1663	92:15:00
დეკემბერი	68	942858	351581	50924	9003	19573	1777	245:20:00
	835	8745510	3607793	248582	55731	525474	25539	931:25:00

ცხრილი N3

2016 ფოთი	შემოსული გემების რაოდენობა	გროს ტონაჟი	ნავთობი	გენ. ტვირთი	კონტეინერი (TEU)	ნაყარი ტვირთი	მგზავრების რაოდენობა შ/გ	უამინდობის გამო ნავსადგურის დახურვის დრო
იანვარი	56	632255	22863	62779	18961	55636	0	566:05:00
თებერვალი	83	759968	48176	98053	23810	196601	1/28	216:00:00
მარტი	79	816838	16096	111831	19822	134299	191/53	271:05:00
აპრილი	84	748807	35504	335291	21031	135856	0	174:45:00
მაისი	80	682914	21392	315239	23474	133643	230/43	113:00:00
ივნისი	77	517798	33923	346929	23900	97254	381/124	73:35:00
ივლისი	84	552052	25143	338047	21620	129749	371/109	202:30:00
აგვისტო	109	535468	45898	389848	26320	179401	649/232	51:30:00
სექტემბერი	87	467045	32890	361540	25759	191640	494/177	243:05:00
ოქტომბერი	82	673297	41004	368292	27018	112728	500/162	276:20:00
ნოემბერი	94	593760	46998	396590	24760	198970	503/275	366:30:00
დეკემბერი	71	561999	38234	248171	17215	172370	257/88	410:30:00
	986	7542201	408121	3372610	273690	1738147	3577/1291	2964:55:00

ცხრილი N4

2016 ყულევი	შემოსული გემების რაოდენობა	გროს ტონაჟი	ნავთობი	გენ. ტვირთი	კონტეინერი (TEU)	ნაყარი ტვირთი	მგზავრების რაოდენობა	უამინდობის გამო ნავსადგურის დახურვის დრო
იანვარი	13	98283	121022.67	არა	არა	არა	არა	498:00:00
თებერვალი	16	96416	176268.019	არა	არა	არა	არა	209:15:00
მარტი	14	172138	121939.441	არა	არა	არა	არა	269:29:00
აპრილი	16	151648.454	160077	არა	არა	არა	არა	302:20:00
მაისი	13	152285	189993.751	არა	არა	არა	არა	105:20:00
ივნისი	10	66899	81426.371	არა	არა	არა	არა	148:02:00
ივლისი	7	56428	74386.429	არა	არა	არა	არა	184:41:00
აგვისტო	14	162453	129070.725	არა	არა	არა	არა	49:15:00
სექტემბერი	10	133764	145384.666	არა	არა	არა	არა	242:00:00
ოქტომბერი	14	196268	201407.926	არა	არა	არა	არა	251:05:00
ნოემბერი	16	119617	147782.953	არა	არა	არა	არა	330:00:00
დეკემბერი	11	126527	135938.994	არა	არა	არა	არა	398:15:00
	154	1532726.45	1684698.95	0	0	0	0	2987:42:00

# ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობს ღებულობს ადგილობრივ და საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში; უწევს გემებს 24 საათიან საინფორმაციო მომსახურებას - მნიშვნელოვანი სანავიგაციო ინფორმაციით გემების დროულ უზრუნველყოფას; სანავიგაციო დახმარებას - გემებზე გადაწყვეტილების მიღების დასახმარებლად და ეფექტური მონიტორინგისათვის, განსაკუთრებით რთულ სანავიგაციო და მეტეოროლოგიურ პირობებში ან სხვა საგანგებო შემთხვევაში; ასრულებს გემების მოძრაობის ორგანიზებას - საშიში სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით გემების შემდგომი გადაადგილების დაგეგმვას, რაც ითვალისწინებს გემების მოძრაობაზე დაკვირვებას. მეკავშირე ოფიცერი უზრუნველყოფს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლობას ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრში (სუფსა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის განმავლობაში.

2016 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მონაცემები:

1. სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი, ტრანზიტული) – 3682.

2. საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში - 22.

№	ინციდენტის სახეობა	რაოდენობა
1	გარდაიცვალა	6
2	ავადმყოფის ევაკუაცია	5
3	ძებნა-გადარჩენა ზღვაში	3

4	ძებნა-გადარჩენა ხმელეთზე	1
5	ხანძარი	1
6	წყალმარხობზე დაჯდომა	2
7	ზღვის აკვატორიის დაბინძურება გემიდან	3
8	ზღვის აკვატორიის დაბინძურება ხმელეთიდან	1
<b>სულ:</b>		<b>22</b>

**3. საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ - 1.**

№	ინციდენტის სახეობა	რაოდენობა
1	SAR რაიონის გარეთ, საზღვარზე, ადლერთან ჩამოვარდა ზღვაში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს თვითმფრინავი ტუ-154, მგზავრები და ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა.	1
<b>სულ:</b>		<b>1</b>

**4. სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში და ნავსადგურებში DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია**

*ცხრილი N5*

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF		
MF	-	-
HF	-	-
INM C	-	საზღვაო -1
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	-	საავიაციო - 5; საზღვაო -1
<b>სულ:</b>		<b>საავიაციო -5; საზღვაო - 2</b>



**5. სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია**

*ცხრილი N6*

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF	-	-
MF	-	-
HF	-	-
INM C	-	-
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	საზღვაო - 6; საავიაციო - 2	საზღვაო 7; საავიაციო - 2
სულ:	საზღვაო - 6; საავიაციო -2	საზღვაო -7; საავიაციო -2

6. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) შეტყობინების აქტივაცია - 0.
7. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შეტყობინება - 1.
8. აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა - *2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 7 მცურავი საშუალება.*
9. CleanSeaNet სისტემიდან მიღებული სავარაუდო ნავთობის დაღვრის განგაშის შეტყობინებების სტატისტიკა - *2016 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 43 სავარაუდო ნავთობის დაღვრის განგაში, რომელთაგან არც ერთი არ დადასტურდა - არ დაფიქსირდა დამაბინძურებელი მცურავი საშუალება, როგორც CleanSeaNet სისტემით, ასევე ჩვენი მონიტორინგის საშუალებებით, რადგან ბევრი შემთხვევა გამოწვეულია ბუნებრივი მოვლენებით.*

10. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ნავსადგურების აკვატორიებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრის მიერ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა - 2638.

11. გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ქვეცენტრების მიერ ჩატარებული ოპერაციების სტატისტიკა

ქვეცენტრი	ზონაში შესვლა	ზონიდან გასვლა	რეიდიდან ნავმისადგომთან	ნავმისადგომიდან რეიდზე	სულ:
ბათუმი	427	399	155	20	<b>1001</b>
ფოთი	551	502	283	48	<b>1384</b>
ყულევი	84	84	66	9	<b>253</b>

12. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში ჩატარებული ოპერაციები - 1.

13. მეკავშირე ოფიცრის მონაწილეობა ჩატარებულ ოპერაციებში - 1.

საანგარიშო პერიოდში საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები:

- ❖ პერიოდულად ტარდებოდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნები სამგზავრო გემებთან;
- ❖ მუდმივად ტარდებოდა ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისათვის მზადყოფნის წვრთნები განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- ❖ 2016 წლის სექტემბრის თვეში, სსსც-მ მონაწილეობა მიიღო თურქეთში გამართულ შავი ზღვის მუდმივმოქმედი კომისიის გარემოს უსაფრთხოების ასპექტების მრჩეველთა ჯგუფის 25-ე შეხვედრაში - BLACK SEA ALFA;
- ❖ 2016 წელს დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიება-სემინარებში:
  - დიდი ბრიტანეთის ეროვნული დანაშაულის (NCA) საზღვაო უსაფრთხოების მიმართულებით სასწავლო-გაცნობით ვიზიტში აშშ-ის საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და უსაფრთხოების მიწვევით;
  - ქ. თბილისში და სუფსაში საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ეგიდით ჩატარებულ სემინარებში;
  - ყოველკვარტალურად შავი ზღვის საერთაშორისო საკომუნიკაციო წვრთნებში - BLACK SEA BRAVO;

- TRACECA Maritime Safety and Security II Activity 4.4 ეგიდით, ქ. კიევში გემებისათვის თავშესაფარის გამოყოფის სემინარში;
  - აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვაო კომპანია MARINTEL LLC -ში, VTMISC და ნავსადგურების მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველ შეხვედრებში ქ. ბაქოში;
  - ქ. კონსტანცაში (რუმინეთი) გამართულ შავი ზღვის ძებნა-გადარჩენის რიგით მე-13 საერთაშორისო კონფერენციაში;
  - თურქეთში გამართულ შავი ზღვის მუდმივმოქმედი კომისიის გარემოს უსაფრთხოების ასპექტების მრჩეველთა ჯგუფის 25-ე შეხვედრაში;
  - დიდი ბრიტანეთში ქ. ლონდონში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის საზღვაო უსაფრთხოების კომიტეტის (MSC – 97) სხდომის მსვლელობაში;
- ❖ ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) დაფინანსებით და დეპარტამენტის კოორდინაციით დაიწყო საქართველოს ტერიტორიული წყლების სახმელეთო AIS (ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა) სადგურებით სრული დაფარვის პროექტი. 2016 წელს დასრულდა სახმელეთო სადგურების განთავსების ადგილები, დადგინდა ტერიტორიული წყლების დასაფარად სახმელეთო სადგურების რაოდენობა და სხვა დეტალები. სამუშაოების სრულად დასრულების სავარაუდო თარიღი 2017 წლის ოქტომბერია, რის შედეგადაც შეიქმნება AIS-ის ეროვნული ქსელი და შესაძლებელი იქნება ევროკავშირის ანალოგიურ ქსელებთან კავშირი;
- ❖ 2016 წლის აპრილში, საქართველოს პრემიერ მინისტრმა ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობის დადგენილება № 195 „ზღვაში ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ეროვნული გეგმის დამტკიცების თაობაზე“;

## VTMS სისტემა

2016 წლის 20 მაისიდან საზღვაო ტრანსპორტის დირექტორის 30 მარტის №5 ბრძანების საფუძველზე დეპარტამენტში ამოქმედდა გემების მოძრაობის მომსახურების საინფორმაციო სისტემის ცენტრი (გმმსსც) თავისი ქვეცენტრებით - გემების მოძრაობის სამსახურებით (VTS) საქართველოს სამივე ნავსადგურში, რომელთა მიზანია საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურებთან მისასვლელ დერეფნებში, საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობის მონიტორინგის სისტემის გამოყენებით ადამიანის სიცოცხლის, ნაოსნობის უსაფრთხოებისა და ზღვის გარემოს დაცვის უზრუნველყოფა, საზღვაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის ამაღლება, შესაბამისი ორგანოების მიერ საზღვაო ინციდენტებსა და შემთხვევებზე სწრაფი რეაგირება, გემებიდან ზღვის გარემოს პოტენციური დაბინძურების აღმოჩენა და მათი პრევენცია. ამ მიზნით:

- მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი VTS-ის საბაზო (ულტრამოკლე ტალღოვანი საზღვაო რადიოსადგური ციფრული არჩევითი გამოძახებით - 3 ერთეული, A კლასის ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა - 3 ერთეული და სანავიგაციო ელექტრონული რუქა წამკითხველი პროგრამული უზრუნველყოფით - 3 ერთეული) აღჭურვილობის შესაძენად;
- გასაუბრების საფუძველზე აყვანილ იქნა ხელშეკრულებით თანამშრომლებლად VTS-ის 12 მორიგე ოპერატორი, ერთი ტექნიკური ინჟინერი და დაინიშნა გმმსსც-ს უფროსი;

აღსანიშნავია, რომ გმმსსც-დან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვანი შენატანია სააგენტოსა და ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტისათვის და 2016 წლის 20 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგინა 1. 826.268 (ერთი მილიონ რვაას ოცდარვა ათას ორას სამოცდარვა) ლარი;

# გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

გემების რეგისტრაციასა და დროშის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- ❖ დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირება;
- ❖ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- ❖ გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- ❖ გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობის გაცემა;
- ❖ საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი.


## ქართული დროშის პოპულარიზაცია

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ახალი გემების მოზიდვა და გემების საშუალო ასაკის შემცირება. 1998 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი გამოცხადდა ღია რეესტრად, საქართველო პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავ სიაში ირიცხებოდა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაატარა რიგი პროაქტიული ღონისძიებებისა. კერძოდ, გამკაცრდა სააგენტოს მიერ იმ ორგანიზაციების აღიარების მოთხოვნები, რომლებიც ახორციელებენ მცურავი საშუალების ტექნიკურ ზედამხედველობას. საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ სტანდარტებთან, გაუმჯობესდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის მომსახურების პირობები, შემცირდა ტარიფები. ამ წარმატებული რეფორმების წყალობით, პირველად არსებობის ისტორიის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშამ 2014 წლის 1 ივლისს გადაინაცვლა პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის ნაცრისფერ სიაში. რაც შეეხება საანგარიშო პერიოდს, 2016 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, პარიზის და ტიკოს ურთიერთგაგების მემორანდუმის დროშის წარმადობის მაჩვენებლით ქართული დროშა არცერთ სიაში არ ირიცხება.


## მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

გემების რეგისტრაციის სამმართველო აწარმოებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების რეგისტრაციას საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში. 2016 წლის განმავლობაში საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

დიაგრამა N7 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები




დიაგრამა N 8 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები 2015-2016წწ.




როგორც დიაგრამიდან ჩანს, წლიდან წლამდე შეინიშნება შიდა ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რიცხვის მატება. თუ 2015 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული იყო 867 ერთეული 100 რეგ.ტონაზე ნაკლები მცურავი საშუალება, 2016 წელს, ეს ციფრი გაიზარდა და მიაღწია 1014.

*დიაგრამა N9 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები*



დიაგრამა N10 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები 2015-2016 წწ.





**მცურავი საშუალებების რეგისტრაციის შედეგად გაცემული სერტიფიკატების/მოწმობების სტატისტიკა**

საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში მცურავი საშუალების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის დროს გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. 2016 წლის განმავლობაში გაცემული სერტიფიკატების სტატისტიკა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

*ცხრილი N7*

გემის ტიპი	პირველადი/დროებითი რეგისტრაცია	ყოველწლიური განახლება	ამოღებულია რეესტრიდან	შეზერება	მუდმივი რეგისტრაცია	დროებითი რეგისტრაციის გაგრძელება
100 რეგ.ტონაზე მეტი ტევადობის გემი	23	36	16	11	8	1
100 რეგ.ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი	173	336	3	133	28	
<b>სულ</b>	<b>196</b>	<b>372</b>	<b>19</b>	<b>144</b>	<b>36</b>	<b>1</b>

*ცხრილი N8*

<i>გემის ტიპი</i>		
<i>სერტიფიკატების დასახელება</i>	<i>100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის გემი</i>	<i>100 რეგ. ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი</i>
გემის სარეგისტრაციო მოწმობა	37	532
გემის უწყვეტი ისტორიის მოწმობა (duplicate)	3	
მოხსნის ამონაწერი	3	2
ცვლილების შეტანა	10	17
იპოთეკის ცნობა	7	1
გემის ინსპექტირება	23	8
სახომალდო რადიოსადგურის მოწმობა	54	85

ეკიპაჟის უსაფრთხო შემადგენლობის მოწმობა	24	
მოხსნის სერტიფიკატის გაცემა		
დამოწმება	61	
	2	
CLC სერტიფიკატის გაცემა		
ISSC სერტიფიკატის გაცემა	1	
დამოწმებული ასლი	3	
იპოთეკის რეგისტრაცია	1	
იპოთეკის მოხსნა	2	
დუბლიკატის გაცემა	2	

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართ 2015 წელს გამოცემული ცირკულარები:

[CIRC/FSI - FSI TARGETS FOR 2016 – 2017;](#)

[CIRC/FSI - Shipboard Equipment and Service Provider Approval](#)

[CIRC/FSI - Implementation of Directive 2003/25/EC of the European parliament and of the Council 14 April 2003 on specific stability requirements for ro-ro passenger ships](#)

# საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრი

იუსტიციის სამინისტროს სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა გემების რეგისტრაციის ელექტრონული ბაზის მოდიფიკაცია. პროგრამა ექსპლუატაციაში გაეშვა 2016 წლის ნოემბერში. პროგრამის დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება და გამარტივდება გემთმფლობელთა მომსახურება. სისტემის საშუალებით დაინერგება ელექტრონული სარეგისტრაციო მოწმობები, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება სააგენტოს ვებ-გვერდიდან გემის მოწმობების დამოწმება (ონლაინ ვერიფიკაცია). აგრეთვე, აღნიშნული რეესტრის საშუალებით, სააგენტოს მიერ აღიარებულ აგენტებს, შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ უცხო ქვეყნის გემების დროებითი რეგისტრაცია საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონულ რეესტრში.

## ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

2016 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებულია 121 ადამიანი, რაც შეეხება მაჩვენებლებს გენდერულ ჭრილში, შეიძლება ითქვას, ბალანსი დაცულია, სააგენტოში დასაქმებულია მდედრობითი სქესის - 41, და მამრობითი სქესის - 80 ადამიანი (მამაკაცი თანამშრომლების სიმრავლე ამ შემთხვევაში განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკით, იგულისხმება ზღვაზე მებნა გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც აუცილებლად არიან მამრობითი სქესის). სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია კვალიფიცირებული და კომპეტენტური თანამშრომლები, ამიტომაც, სააგენტო მუდმივად ახორციელებს მუშახელის დატრენინგებას. 2016 წლის ტრენინგ გეგმის შესაბამისად, სააგენტოს 44 თანამშრომელმა გაიარა სპეციალური სწავლებები.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, გასცა 24 წერილი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.

2015 წლის დეკემბერში დაიწყო და 2016 წლის ნოემბერში დასრულდა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, რომელიც სააგენტოს საშუალებას მისცემს ბევრად ეფექტური, მოქნილი მომსახურება შესთავაზოს მეზღვაურებს, გემთმფლობელებს და საზღვაო დარგის სხვა წარმომადგენლებს. ახალ შენობაში იგეგმება საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო მართვის ცენტრის ჩამოყალიბება თანამედროვე რადიოტექნიკური აღჭურვილობებით, რაც სააგენტოს სამომავლოდ საშუალებას მისცემს ჩაერთოს ევროკავშირის ერთიან სისტემაში (SafeSeaNet).



## ISO 9001-2008

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ წარმატებით გაიარა გერმანული სასერტიფიკაციო ორგანიზაციის - TÜV SÜD სასერტიფიკაციო აუდიტი და 2015 წლის 10 ივლისს მიენიჭა ხარისხის მართვის ISO 9001:2008 ახალი სერტიფიკატი (ხარისხის მართვის სერტიფიკატი გაიცემა 3 წლის ვადით, სააგენტოს 2012 წელს მიღებული ჰქონდა ზემოთხსენებული სერტიფიკატი, შესაბამისად, 2015 წელს, სერტიფიკატის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, კვლავ იქნა მოწვეული სასერტიფიკაციო ორგანიზაცია).

საანგარიშო პერიოდში (2016 წელს), ზემოთხსენებული სერტიფიკატის შესანარჩუნებლად, ჩატარდა სადამკვირვებლო აუდიტი სასერტიფიკაციო ორგანიზაცია - TÜV SÜD -ის აუდიტორის ქ-ნ ელენა ბორტნიკის მიერ. შემოწმებულ იქნა ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურების სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურების, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების სამუშაო პროცესების მიმდინარეობა, მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან. აუდიტის დროს არ დაფიქსირებულა არცერთი შეუსაბამობა და სააგენტო კვლავ ინარჩუნებს ხარისხის მართვის სერტიფიკატს. მენეჯმენტის სისტემის სერტიფიცირება გაზრდის ჩვენი სააგენტოს იმიჯს და მუშაობის ხარისხს საერთაშორისო დონეზე და ხელს შეუწყობს შიდა ბიზნეს პროცესების მართვაზე კონტროლის ამაღლებას. სააგენტოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებს და ევროკავშირის სავალდებულო დირექტივებს, რაც განაპირობებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების მაღალ დონეს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სამუშაო პროცესების ხარისხის მართვის სისტემის სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**, რომელიც სისტემატურად ატარებს სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებთან, სააგენტოს მიერ აღიარებულ საკრუინგო კომპანიებთან და სამედიცინო დაწესებულებებთან აუდიტებს, რომლის მთავარი მიზანი ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შემოწმებაა. ზემოთხსენებულთან დაკავშირებით, 2016 წელს, სამსახურმა ჩაატარა **48 (შიდა და გარე)** აუდიტი, რომელიც ასევე მოიცავს მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველოსთან ერთად, საქართველოში არსებულ საზღვაო სასწავლებლებში ჩატარებულ **8** გარე ( ოთხ საზღვაო სასწავლებელში წლის განმავლობაში ორ-ორი აუდიტი) აუდიტს.

## სააგენტოს რებრენდინგი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უახლეს სტანდარტებთან თანხვედრის მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტენდერი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სრული რებრენდინგის, ლოგოს და სლოგანის, ასევე მსოფლიოში უმსხვილესი საერთაშორისო საზღვაო გამოფენა/კონფერენცია "POSIDONIA 2016"-სათვის საქართველოს ეროვნული პავილიონის საგამოფენო შიდა სივრცის და გარე დიზაინის, საქართველოს საზღვაო დროშის პოპულარიზაციისათვის სლოგანის და გამოფენისათვის საჭირო ბრენდირებული ატრიბუტიკის შექმნაზე.



სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ლოგო არის სტილიზებული წრე. ლოგოს ცენტრში გამოსახულია გემის ღუზა, რომელიც ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს და მის მრავალწლიან ტრადიციებს ამ სფეროში.

ლოგოს ირგვლივ წრიულად განთავსებულია ორენოვანი წარწერა ქართულ და ინგლისურ ენებზე: "MARITIME TRANSPORT AGENCY OF GEORGIA", „საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“, რომელიც იყოფა საქართველოს სახელმწიფო დროშით.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ახალი სლოგანია:

### **AT THE MARITIME CROSSROADS/ საზღვაო გზაჯვარედინზე**

საქართველო ტრადიციულად წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს კულტურულ თუ სავაჭრო გზაჯვარედინს. შესაბამისად, მისი წარმატებული მომავალიც დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ღირსეულად შეძლებს ის ამ ისტორიული ფუნქციის აღდგენას.

ჯვარი საქართველოს დროშის მთავარი სიმბოლოა და გზაჯვარედინზე აქცენტის გაკეთება ირიბათ ეხმარება დროშის პოპულარიზაციას.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო პოზიციონირდება როგორც რეგიონის უმნიშვნელოვანესი საზღვაო გზაზვარედინის მმართველი სტრუქტურა, რომელიც განახლებული ენერჯიტი და შესაძლებლობებით ცდილობს ღირსეულად ატაროს გზაზვარედინის გუშაგის სტატუსი.

რაც შეეხება სლოგანს, რომელიც ემსახურება საქართველოს საზღვაო დროშის პოპულარიზაციას, შემდეგნაირია:

## **THE FLAG OF NEW POSSIBILITIES.**

აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2016 წელს წელს მოხდა სააგენტოს ახალი, მოდერნიზებული ვებ-გვერდის შექმნა, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საზღვაო სფეროში მიმდინარე მოვლენებს, მეზღვაურებს და გემთმფლობელებს მიეცათ ონლაინ-კონსულტაციის მიღების საშუალება. სააგენტოს ახალი ვებ-გვერდის მისამართია: <http://www.mta.gov.ge>



*\*\*საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სტატისტიკურ და ანალიტიკურ საქმიანობაზე პასუხისმგებელია სააგენტოს ანალიტიკური სამსახური. ზემოთმოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი მაჩვენებლები წინა წლების მაჩვენებლებთან ერთად უფრო დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ანალიტიკური სამსახურის მიერ მომზადებულ წლიურ სტატისტიკურ ანგარიშებში.*

საქართველო, ბათუმი 6000, ე. ნინოშვილის ქ. No23

ტელეფონი: +995 (422) 273912

ფაქსი: +995 (422) 273929

ელ-ფოსტა: [info@mta.gov.ge](mailto:info@mta.gov.ge)

ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე: [www.mta.gov.ge](http://www.mta.gov.ge)